

Geo დაიჯესტი

№1 / 2022 წ.



სარჩევი

უკრაინისადმი რუსეთის აგრესიის ფონზე, საქართველოს აშშ-ის კონგრესის დელეგაცია ეწვია..3	
ნატო-ს მადრიდის სამიტზე აუცილებელია საქართველოსათვის უსაფრთხოების ახალი ინსტრუმენტების შეთავაზება.....4	4
ფინეთი და შვედეთი ნატოში გასაწევრიანებლად ემზადება.....5	5
ევროპა რუსულ გაზზე დამოკიდებულების უმტკივნეულოდ შემცირებას ცდილობს.....7	7
უკრაინის მიმართ განხორციელებული დახმარებები9	9

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოჯესტის“ ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

უკრაინისადმი რუსეთის აგრესიის ფონზე, საქართველოს აშშ-ის კონგრესის დელეგაცია ეწვია



Source: <https://georgiaembassyusa.org/2019/03/02/georgia-us-strategic-partnership-2018%E2%80%8A-%E2%80%8Aall-time-high/>


ამა წლის 21 აპრილს, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიული მოქმედებების ფონზე, აშშ-ის კონგრესის დელეგაციის ვიზიტი საქართველოსადმი მრავალმხრივი მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოვლინებაა. აღნიშნული ვიზიტის მიზანი გახლდათ საქართველოს ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან როგორც რეგიონალური უსაფრთხოების კრიტიკულ საკითხებზე, ასევე საკანონმდებლო, ინსტიტუციურ რეფორმებთან დაკავშირებულ თემებზე მსჯელობა.

კრემლის აგრესიული პოლიტიკის ფონზე, მნიშვნელოვანია აშშ-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის განახლება და რუსეთის აგრესიული მოქმედებების შემაკავებელი ახალი ინსტრუმენტების შექმნა.

არსებული ვითარების ანალიზის შედეგად, აუცილებელია დისკუსიის დაწყება იმ ახალი ინიციატივების შესამუშავებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობიდან ოფიციალურად სტრატეგიულ მოკავშირეობაზე გადასვლას.

აშშ-სთან, როგორც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობის გაღრმავება აუცილებელია საქართველოში დემოკრატიული და უსაფრთხოების სფეროებში რეფორმების წარმატებით განსახორციელებლად, ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შესაქმნელად და ევროატლანტიკური მისწრაფებების მისაღწევად.

ნატო-ს მადრიდის სამიტზე აუცილებელია საქართველოსათვის უსაფრთხოების ახალი ინსტრუმენტების შეთავაზება



ფოტო: <https://imedinews.ge/ge/politika/191029/nato-saqartvelo-tavdatvis-shesadzleblobebis-gadzlierebas-ganagrdzobs>

კრემლის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო მოქმედებები და რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის ხელყოფა ცხადყოფს, რომ მოსკოვის აგრესიის სამიზნე ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავიანთი უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება. ნატო-ს მადრიდის სამიტზე აუცილებელია საქართველოსათვის უსაფრთხოების ახალი ინსტრუმენტების შეთავაზება.

მიუხედავად ახალ ინსტრუმენტებზე საუბრისა, უსაფრთხოების რეალურ გარანტს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში წევრობა წარმოადგენს, რაც ისტორიულად ყველაზე ქმედითი შემაკავებელი მექანიზმი აღმოჩნდა.

როგორც ფინეთი და შვედეთი, ასევე საქართველო და უკრაინა იმსახურებენ ნატო-ში წევრობას. თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მოწყვლადობამ ლიდერებს უნდა

უბიძგოს მეტი სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისაკენ. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც აგრესორი ბუჩასა და უკრაინის სხვა ქალაქებში ომის დანაშაულებს ჩადის. მართლმადიდებლურ, აღდგომის დღესასწაულზეც რუსულმა არმიამ უკრაინაში გააგრძელა ადამიანების მიზანმიმართული ხოცვა, ამ დღეს რუსულ აგრესიას 3 თვის ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. ეს უმძიმესი დანაშაულები წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის ერთგული ყველა აქტორისათვის უნდა გახდეს საფუძველი იმ მტკიცე გადაწყვეტილებების მიღებისა, რომლებიც რუსეთის აგრესიას საბოლოოდ შეაჩერებენ და იმდენად დაასუსტებენ მას, რომ იძულებული გახდეს პატივი სცეს სუვერენულ სახელმწიფოთა ნებას.

ამასთანავე, საქართველოში ბოლო დროს ნატო-ს მაღალი რანგის წარმომადგენლების რეგულარული ვიზიტები მიანიშნებენ იმაზე, რომ ალიანსისათვის საქართველო ღირებული პარტნიორია, განსაკუთრებით შავი ზღვის რეგიონის კონტექსტში. შეცვლილ გეოპოლიტიკურ რეალობაში უნდა შევძლოთ ჩვენი როლის მეტად გამოკვეთა, რაც აუცილებელია საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად.

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

ფინეთი და შვედეთი ნატოში გასაწევრიანებლად ემზადება



ფინეთსა და შვედეთს შორის უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების უეცარმა ინტენსიფიკაციამ გაზარდა მოლოდინი, რომ ორი მიუმხრობელი სკანდინავიური სახელმწიფო 16 მაისამდე, ერთობლივად გამოაცხადებენ გადაწყვეტილებას ნატო-ში გაწევრიანების შესახებ. შვედეთისა და ფინეთის ნატო-ში "ერთობლივი ნახტომის" პერსპექტივა განიხილება, როდესაც ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრები, მაგდალენა ანდერსონი და სანა მარინი შეხვედებიან შლოს მეზობერგის ციხესიმაგრეში, ბერლინთან ახლოს, რათა განიხილონ უსაფრთხოების საკითხები გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან 3 მაისს.

ფინეთისა და შვედეთის მიერ ნატო-ში გაწევრიანების შესახებ ერთობლივი განცხადების წარდგენის შესაძლებლობა მაისის შუა რიცხვებისთვის, ასევე განიხილეს ფინეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა პეკა ჰაავისტომ და ენ ლინდემ 29 აპრილს ჰელსინკში გამართულ მოლაპარაკებებზე. „ფინეთის სურვილია, რომ ფინეთმა და შვედეთმა დაიცვან ერთი და იგივე გრაფიკი ნატოში გაწევრიანებაზე განაცხადის შეტანის კუთხით“, - თქვა ჰაავისტომ ლინდესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე. ნატო-ს შეთავაზება ფინეთისა და შვედეთის წევრობის პროცესის დაჩქარების შესახებ განმეორდა, როდესაც ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 28 აპრილს გამართა მოლაპარაკებები ფინეთის პრეზიდენტთან საული ნიინისტოსთან, ასევე ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან.

„თუ ფინეთი და შვედეთი გადაწყვეტენ განაცხადის შეტანას, მაშინ ნატო გაწევრიანების პროცესს რაც შეიძლება სწრაფად დააჩქარებს. ჩემი დისკუსია პრეზიდენტ ნიინისტოსთან მოიცავდა ფინეთის განცხადებას ალიანსში შესაძლო გაწევრიანების შესახებ და ნებისმიერი შეთანხმებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს განაცხადის წარდგენამდე და მის რატიფიკაციამდე პერიოდის განმავლობაში. ჩვენ შევთანხმდით, რომ მალე კვლავ შეხვედებით“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

შვედეთსა და ფინეთში მოსალოდნელია რუსული დაზვერვის აქტივობების ზრდაც პროცესების პარალელურად. ნეიტრალური შვედეთის ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობაზე ზემოქმედება არის რუსეთის სადაზვერვო საქმიანობის პრიორიტეტი - სადაც ის შეეცდება ინფორმაცია მოიპოვოს შვედი პოლიტიკოსების მომავალ გადაწყვეტილებებზე.

შვედეთში ნატო-ში გაწევრიანებისადმი პოპულარული მხარდაჭერა კვლავ pollster Demoskop-ის უკანასკნელმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ შვედების 57% ახლა მხარს უჭერს შვედეთს ალიანსში გაწევრიანებას, რაც აღემატება 51%-ს მარტში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვისგან.

ფინური მედია ჯგუფის Helsingin Sanomat-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვამ, რომელიც მოიცავდა 22 აპრილიდან 27 აპრილამდე პერიოდს, აჩვენა, რომ ფინელების 65% მხარს უჭერს ნატო-ში გაწევრიანებას.

ევროპა რუსულ გაზზე დამოკიდებულების უმტკივნეულოდ შემცირებას ცდილობს



გერმანიის ფინანსთა მინისტრმა კრისტიან ლინდნერმა შაბათს განაცხადა, რომ ბერლინი არ გადაიხდის რუსულ გაზის საფასური რუბლებში. ბიზნესის წარმომადგენლებმა გააფრთხილეს, რომ რუსეთიდან სანდო და კონკურენტუნარიანი ენერგომომარაგების დაკარგვა საფრთხეს უქმნის ყველაფერს, მრეწველობასა და საკვების წარმოებამდე.

რუსული მარაგების გარეშე, ევროკავშირი ერთდროულად ვერ ავსებს წევრთა მიწისქვეშა გაზის საცავეებს, რათა მოემზადოს მომავალი ზამთრისთვის და შეუფერხებლად გააგრძელოს ინდუსტრიის მუშაობა, იუწყება Spiegel Business-ი წამყვანი გერმანული კვლევითი ინსტიტუტის დასკვნაზე დაყრდნობით.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ინტერდისციპლინური ინსტიტუტის Julich Research Centre-ის თანახმად, რომლის ექსპერტიზის სფერო მოიცავს ენერგეტიკასა და გარემოს საკითხებს, რუსული გაზის მიწოდების ორი მესამედით შემცირება, როგორც ამას ახლახანს დაპირდნენ ევროკავშირის ოფიციალური პირები, აიძულებს სამრეწველო საწარმოებს დაიხურონ თვეების განმავლობაში. მანამ სანამ ფიქლის გაზით (LNG) საცავეები აივსება, რადგან უბრალოდ არ არსებობს მიწოდების სხვა ალტერნატიული წყაროები.

ინსტიტუტის ტექნო-ეკონომიკური სისტემების ანალიზის ცენტრის თანახმად, ბლოკს დასჭირდება დაზოგოს 300 ტერავატ საათზე მეტი გაზი (დაახლოებით 30 მილიარდი კუბური მეტრის ექვივალენტური) წელს, რათა საწყობები ზამთრის წინ უსაფრთხო დონეზე შეივსოს. ეს ითვალისწინებს "უადრესად ოპტიმისტურ დაშვებას, რომ თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) და მილსადენის გაზის იმპორტი სხვა ქვეყნებიდან შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს", - ხაზს უსვამს შპიგელი.

საჭირო დანაზოგის ჯამი უდრის ევროკავშირის სამრეწველო სადგურის გერმანიის გაზის წლიური მოხმარების მესამედს და ჩრდილოეთის ნაკად 2-ის წლიური მაქსიმალური სიმძლავრის ნახევარზე მეტს.

სავარაუდოდ, ოჯახები და კრიტიკული სოციალური სერვისები, როგორცაა საავადმყოფოები და კომუნალური კომპანიები, მიიღებენ პრიორიტეტულ მარაგს, დიდი რისკის ქვეშ დადგება სამრეწველო ობიექტები - „ყველა ფოლადის ქარხანა, ქიმიური ქარხანა და ცემენტის ქარხანა“. მათ შესაძლოა გარკვეული პერიოდით მუშაობის შემცირება ან სულაც შეწყვეტა მოუწიოთ.

ეს საშუალებას მისცემს ბრიუსელს მიაღწიოს მიზანს 63 პროცენტის ტევადობის ნიშნულს საცავებში 1 აგვისტოსთვის, ხოლო ინდუსტრია იძულებული იქნება ოქტომბერში მეტი მსხვერპლი გაიღოს იმისთვის, რომ 80 პროცენტი იქნას მიაწეული 1 ნოემბრამდე საჭიროებისამებრ.

შპიგელი ხაზს უსვამს, რომ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის ფრანს ტიმერმანსის მიერ გამოცხადებული რუსული გაზის დაახლოებით 100 მილიარდი კუბური მეტრის შემცირება არ შეიძლება მყისიერად კომპენსირებული იყოს ნორვეგიიდან, ალჟირიდან ან აზერბაიჯანიდან მილსადენის დამატებითი გაზით და არც LNG-ის შესყიდვის შემდგომი გაზრდით. გარდა ამისა, დარჩენილი LNG ტერმინალის სიმძლავრე პიკს უახლოვდება, მილსადენებით ესპანეთში, სადაც გარკვეული სათადარიგო სიმძლავრე არსებობს, არასაკმარისია გაზის აღმოსავლეთით ცენტრალურ ევროპაში გასაგზავნად.

გარდა ამისა, არსებული LNG-ის მიწოდების ტემპის შედეგები უკვე პასუხისმგებელია 2021 წლის შემოდგომაზე და ზამთარში ფასების რეკორდულ ზრდაზე და მისი მიწოდება მომავალში სავარაუდოდ სულ უფრო და უფრო მწირი გახდება, რადგან მწარმოებლები იბრძვიან უპრეცედენტო ხელოვნური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. გლობალური LNG სიმძლავრე გაიზრდება მაქსიმუმ 30 მილიარდი კუბური მეტრით, ვაშინგტონის მიერ ევროპას დაპირებული 15 მილიარდი კუბური მეტრის უმეტესი ნაწილი უკვე მიწოდებული აქვს, ხოლო კატარი, LNG-ის კიდევ ერთი მთავარი მწარმოებელი, თავისი მომარაგების დაახლოებით 80 პროცენტს აზიის ბაზარზე ყიდის.

რუსულმა გაზპრომმა ოთხშაბათს შეაჩერა გაზის მიწოდება ბულგარეთსა და პოლონეთს რუბლით გადახდაზე უარის გამო.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა დაავალა ქვეყნებს და კორპორაციებს, დაიცვან მკაცრი ხაზი რუბლით გადახდაზე და გააფრთხილა ქვეყნები და კომპანიები, რომ რუსული კონტრაქტების მქონე კომპანიები არ უნდა "არ დაეთანხმონ რუსეთის მოთხოვნებს" წინააღმდეგ შემთხვევაში მეორადი სანქციების "მაღალი რისკის" წინაშე აღმოჩნდნენ.

ხუთშაბათს, აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი დაჰპირდა, რომ „დაეხმარებოდა“ თავის ევროპელ მოკავშირეებს მარაგების დივერსიფიკაციაში. "ჩვენ არ მივცემთ უფლებას რუსეთს დაამინოს ან შანტაჟით გამოვიდეს ამ სანქციებიდან. ჩვენ არ მივცემთ უფლებას გამოიყენონ ნავთობი და გაზი, რათა თავიდან აიცილონ თავიანთი აგრესიის შედეგები", - თქვა მან.

შეგახსენებთ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მთავრობას და გაზპრომს სთხოვა შეიმუშავონ სქემა, რომელიც ავალდებულებს იმ ქვეყნებს, რომლებმაც რუსეთს სანქციები დაუწესეს, ბუნებრივი აირის მიწოდების საფასური მარტის ბოლოს რუბლებში გადაიხადონ.

როგორც ჩანს, ევროპას ძალისხმევის მაქსიმალური მობილიზება მოუწევს უახლოესი პერიოდის მანძილზე ენერგეტიკული რისკების შესამცირებლად და სანქციების რეჟიმის წარმატებით შესანარჩუნებლად.

ანი შანიძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

უკრაინის მიმართ განხორციელებული დახმარებები

24 აპრილს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი უკრაინას ესტუმრნენ. ვიზიტის დროს ენტონი ბლინკენი და ლოიდ ოსტინი პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შეხვდნენ. მათ თანადგომა გამოხატეს უკრაინის მიმართ, და ასევე გასცეს დაპირებები, რომ აშშ დამატებით 713 მილიონი დოლარის ოდენობის ახალ დახმარებას გამოყოფს, ზელენსკის მთავრობისა და რეგიონის ქვეყნებისთვის, სადაც რუსეთის შეჭრამ მოსკოვის შემდგომი აგრესიის შიში გააჩინა. ასევე აღნიშნეს, რომ აშშ უკრაინის მხარდაჭერას საბოლოო გამარჯვებამდე გააგრძელებს.

შეხვედრაზე ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის ამჟამინდელ პრიორიტეტებზე ისაუბრა: თავდაცვით დახმარებაზე, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გაძლიერებაზე, უკრაინის ფინანსურ მხარდაჭერასა და უსაფრთხოების გარანტიებზე.

მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის მიერ გაწეული 3.4 მილიარდი დოლარის ოდენობის თავდაცვის მხარდაჭერა უდიდესი წვლილია უკრაინის თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაში.

ქვეყნები აშკარა თანადგომას გამოხატავენ უკრაინის მიმართ, რაც გამოიხატება სხვადასხვა სახის დახმარებებში.

როგორც არის, დიდი ბრიტანეთის მიერ უკრაინის ქვეყნის საჰაერო თავდაცვის გასაძლიერებლად ჯავშანმანქანებს გადასცემა. იაპონიის მხრიდან უკრაინისთვის საკვებისა და მედიკამენტების დამატებითი მარაგის მიწოდება.

ასევე, გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, კრისტინ ლამბრეხტმა განაცხადა, რომ გერმანია უკრაინას Gepard-ის საზენიტო ტანკებს გადასცემს. გარდა ამისა, გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატამ, ბუნდესტაგმა დაამტკიცა პეტიცია უკრაინის მხარდაჭერის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნისთვის იარაღის, მათ შორის მძიმე იარაღის მიწოდებას, რათა დაეხმაროს მას რუსეთის თავდასხმების მოგერიებაში.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში გამოსვლისას კონგრესს მომდევნო ხუთი თვის განმავლობაში 33 მილიარდი აშშ დოლარი უკრაინისთვის სამხედრო, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარების აღმოსაჩენად სთხოვა. რა თანხიდანაც, 20 მილიარდ დოლარზე მეტი

სამხედრო დახმარებას მოხმარდება, 8 მილიარდი დოლარის ეკონომიკურ დახმარებას, ხოლო 3 მილიარდი დოლარს ჰუმანიტარული დახმარებას.

შედეგად, კონგრესმა (417 ხმა, 10-ის წინააღმდეგ) მიიღო უკრაინის დემოკრატიის თავდაცვის ე.წ. ლენდ ლიზის აქტი, რომელიც საშუალებას აძლევს პრეზიდენტს დადოს სესხის იჯარის ხელშეკრულებები უკრაინასთან, რათა მათ თავდაცვის ინსტრუმენტები მიაწოდოს. „უკრაინის დემოკრატიის დაცვის ლენდ-ლიზის“ აქტი კრიტიკული სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა მნიშვნელოვანი მარაგების დე ფაქტო ჩუქების საშუალებას იძლევა დათქმით, რომ დახმარების მიმღები ქვეყნები აშშ-ს თანხას მოგვიანებით გადაუხდიან.

კანონპროექტი სენატმა უკვე მიიღო აპრილის დასაწყისში და ახლა პრეზიდენტს ხელმოწერისთვის გადაეცემა.